

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

III კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

- რომელია ოთხმარცვლიანი სიტყვა?
ა) თავგადაკლული ბ) ბედნიერი გ) ლამაზი
- რომელია სულიერი არსებითი სახელი?
ა) სარკე ბ) ნათურა გ) ჭიანჭველა
- რომელია უსულო არსებითი სახელი?
ა) ენძელა ბ) ხარი გ) ძაღლი
- რა შეიძლება იყოს ბარაქიანი?
ა) მთვარე ბ) კარავი გ) შემოდგომა
- რას ჭამენ მტაცებელი ცხოველები?
ა) ხორბალს ბ) ხორცს გ) ყვავილებს
- რა შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე?
ა) გზა ბ) საჭმელი გ) წყალი
- როდის ცვივა ხეს ფოთოლი?
ა) გაზაფხულზე ბ) ზაფხულზე გ) შემოდგომაზე
- რომელი ცურავს?
ა) დევი ბ) თევზი გ) ხარი
- რომელია ტანსაცმელი?
ა) ქურთუკი ბ) სანდალი გ) ბოტასი
- წელიწადის რომელ დროს ახასიათებს სიტყვები: ფიფქები, თოვლის პაპა, ნაძვის ხე?
ა) გაზაფხულს ბ) ზამთარს გ) ზაფხულს

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

- რომელია მცენარე ?
ა) ბალახი ბ) მაგიდა გ) გოგო
- რას ნიშნავს სიტყვა: ღონიერი?
ა) ცალხელას ბ) ცალფეხას გ) ძლიერს
- როგორ გესმით გამოთქმა: გული გადაუქანდა?
ა) მოკვდა ბ) შეეშინდა გ) დაეცა
- რომელია სწორად დაწერილი სიტყვა:
ა) ობილი ბ) ბავში გ) კარგად
- დაასრულეთ ანდაზა: „ კარგი შვილი...“
ა) დედის სიხარულიაო ბ) დედის გულის ვარდიაო გ) დედის ბედნიერებააო

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

16. რომელი ხილია წითელი?

- ა) ბანანი
- ბ) ლიმონი
- გ) ვაშლი

17. რომელია ჭურჭელი?

- ა) თეფში, დოქი, ლარნაკი
- ბ) ლედვი, რვეული, კოვზი
- გ) კაბა, ვარდი, ჭიქა

18. რომელი გამოხატავს მრავლობითს ანუ ბევრს?

- ა) ირმები
- ბ) დელფინი
- გ) ბუზი

19. რომელი სიტყვა უკავშირდება ფრინველს?

- ა) ფრთა
- ბ) კაბა
- გ) ფეხსაცმელი

20. რომელი სიტყვები გამოხატავენ მოქმედებას?

- ა) ვიმოგზაურე, დავიღალე
- ბ) ქალაქი, დაფა
- გ) წესიერი, სიმღერა

21. რომელ სიტყვებს დაესმის კითხვა როგორი?

- ა) სასიამოვნო, სასარგებლო
- ბ) მე, ჩვენ
- გ) გემი, ნავი

22. რომელია სწორი აზრი?

- ა) სპილოს მოკლე და პატარა ყურები აქვს.
- ბ) ჟირაფს გრძელი კუდი და მოკლე კისერი აქვს.
- გ) ცხენს პირში ლაგამი და ზურგზე უნაგირი აქვს.

23. რომელია სწორი აზრი?

- ა) სარაფანი, რვეული და ლამბაქი სასკოლო ნივთებია.
- ბ) მძიმე, წერტილი და ორწერტილი სასვენი ნიშნებია.
- გ) მამალი, ბატი და ყვავი შინაური ფრინველებია.

24. რომელი სიტყვა არ დაიყოფა გადასატანად:

- ა) დედა
- ბ) ტყე
- გ) სამშობლო

25. ა) რომელ სვეტშია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

- ა) ბაბუა და პაპა
- ბ) დიდება და ბეზია
- გ) მახინჯი და ლამაზი

